დანართი №2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის
მიერ „ენერგომენეჯმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ლევან მადათოვი
წევრები: ზაალ ხელაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: **204429341**

სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 12 ივლისის №855522 ბრძანების საფუძველზე 2024 წლის 18 ივლისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში (ქ. თბილისი, გორგასალის №101) ,,ენერგომენეჯმენტის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31 - ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტების შესაბამისობის დადგენის მიზნით. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. მოხდა გასაუბრება დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელებთან, განხორციელდა პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება **(შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრი" და შპს "ჯორჯიან ჰოტელ** მენეჯმენტი") ხოლო, ნაწილი პრაქტიკის ობიექტის წარმოამდგენლებთან შედგა ონლაინ გასაუბრება **(შპს "ოპტიმალ გრუპი +" და შპს "ექსპერტს ფორ სოლუშენს")** ვიზიტის დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების ადმინისტრაციას გააცნო ვიზიტის ძირითადი მიგნებები.

ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 21 ნოემბრის №91 გადაწყვეტილებით, 6 წლის ვადით მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. დაწესებულება ახორციელებს უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის, მეხუთე დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" მისამართზე, ქ. თბილისი, გურამ ფანჯიკიძის №1/ პეკინის გამზირი №42ა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადი წარმოდგენილია მისამართზე, ქ. თბილისი, გორგასალის №101.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ გამოვლენილა.

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

არ გაცემულა.

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.1.1.4 პროგრამაში ჩართული პერსონალის ძირითადი ნაწილი მათ შორის დასაქმებულია სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიურ/მოწვეულ პერსონალად, შესაბამისად, მათი და სტუდენტების ჩართულობით (საშინაო დავალებები, საკურსო ნაშრომები, დავალებები კოლოქვიუმებისთვის, შიდა საუნივერსიტეტო სემინარები) და სალექციო მასალების (სილაბუსები, კურიკულუმები, პრეზენტაციები და სხვა), გამოყენებით შეიქმნას სასწავლო მეგზურები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის, რომელიც ასახავს თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევებს, რამდენადაც ბიბლიოთეკაში დღეს წარმოდგენილი ლიტერატურა ძირითადად თარიღდება 2011-2016 წლებით.

2.4.1.5 მეტი დარგობრივი სეგმენტების დაფარვის მიზნით, სასურველია გაიზარდოს პრაქტიკის ობიექტების რაოდენობა: სამედიცინო, სოფლის მეურნეობის (მეღვინეობა, მეფრინველეობა, გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოები და სხვა), ტრანსპორტი (სახმელეთო, საზღვაო, სავიაციო და სარკინიგზო), ლოგისტიკური ცენტრები და სხვა, რამდენადაც, ამ სექტორებს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ საქართველოს ტერიტორიიდან კლიმატის ცვლილების გამომწვევი სითბური გაზების ემისიების შემცირებაში და/ან კლიმატის ცვლილებასთან იმ სექტორების ადაპტაციაში, რომლებიც ყველაზე მოწყვლადები არიან კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკების მიმართ.

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ენერგომენეჯმენტი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ენერგომენეჯმენტში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0712
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	№01-24/212; 20.06.2024, ცვლილება ბრძანებაში №01-24/236 10.07.2024
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, გორგასალის ქ. № 101
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	96
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.1.1 პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით, შემდეგი შვიდი წლის განმავლობაში პროფესიული განათლების თვალსაზრისით GIPA გეგმავს არამარტო უკვე არსებული პროფესიული პროგრამის (შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები) განხორციელებასა და შემდგომ განვითარებას, არამედ ახალი მიმართულებების დამატებასაც, სწორედ ამ მიზნით უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს USAID - ის პროგრამასთან - „დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის“ და ახორციელებს პროექტს „განახლებადი ენერგიის და ენერგოეფექტურობის მიმართულებით IV-V საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და სასერტიფიკატო ტრენინგ კურსების შემუშავება, განხორციელება და ინსტიტუციონალიზება GIPA-ში". პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების შექმნაში უნივერსიტეტთან ერთად ჩართული მხარეები არიან- პროფესიული უნარების სააგენტო, დარგობრივი უნარების ორგანიზაცია და დამსაქმებლები.

2.1.1.2 საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. დაინტერესებულ პირის ასაკი 18 წელს უნდა შეადგენდეს და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გარდა, მოეთხოვება სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული ტესტირების ჩაბარება.

2.1.1.3 პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს მოცემული პროფესიულ პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს პროფესიული პროგრამის სპეციფიკას, უნივერსიტეტის რესურსებს და განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა იმ ოპტიმალურ რაოდენობას, რომელიც შესაძლებელს ხდის ხარისხიანი განათლების მიღებას.
პროფესიულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის თანახმად, სწავლის განხორციელება შესაძლებელია 2 ცვლაში. ერთდროულად სწავლება შეიძლება განხორციელდეს არაუმეტეს 4 ჯგუფში, თითოეულ ჯგუფში დაგეგმილია არაუმეტეს 24 პროფესიული სტუდენტის მიღება.

2.1.1.4 საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

უნივერსიტეტის რექტორის N 01-24/218 ბრძანებით, პროფესიული პროგრამის ეფექტურად განხორციელებისა და სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულ სასწავლო შენობაში გამოიყო შესაბამისი აუდიტორიები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

მოდულების განხორციელებისათვის უნივერსიტეტს მოწყობილი აქვს A და C სასწავლო გარემო რომელიც ამ პროგრამის მიზნებისთვის არის გამოყოფილი. ასევე 2 A სასწავლო გარემო. თითოეული აუდიტორია გათვლილია 24 პროფესიულ სტუდენტზე და აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით:

- 24 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტისათვის;
- 1 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის;
- 1 ერთეული დაფა;
- 1 ერთეული კომპიუტერი პროფესიული მასწავლებლისთვის
- 1 ერთეული მონიტორი;

  პროგრამის განხორციელებისათვის ასევე გამოიყენება B სასწავლო გარემო, რომლიც გათვლილია 24 პროფესიულ სტუდენტზე და აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით:
- 24 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტისათვის;
- 1 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის;
- 1 ერთეული დაფა;
- 1 ერთეული პროექტორი და პროექტორის ეკრანი;
- 1 ერთეული პორტატული კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის;
- 24 ერთეული კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისთვის;
- პრინტერი.

განმავითარებელი რეკომენდაცია:

პროგრამაში ჩართული პერსონალის ძირითადი ნაწილი მათ შორის დასაქმებულია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიურ/მოწვეულ პერსონალად, შესაბამისად, მათი და სტუდენტების ჩართულობით (საშინაო დავალებები, საკურსო ნაშრომები, დავალებები კოლოქვიუმებისთვის, შიდა საუნივერსიტეტო სემინარები) და სალექციო მასალების (სილაბუსები, კურიკულუმები, პრეზენტაციები და სხვა), გამოყენებით შეიქმნას სასწავლო მეგზურები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის, რომელიც ასახავს თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევებს, რამდენადაც მოდულში მითითებული და ბიბლიოთეკაში დღეს წარმოდგენილი ლიტერატურა ძირითადად თარიღდება 2011-2016 წლებით.

2.1.1.5 საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მისი მიზნებისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2.1.1.6 საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების X თავის მიხედვით განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების საკითხები. აღნიშნულის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცება გადის შემდეგ ეტაპებს - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას სოფლის განვითარებისა და პროფესიული სწავლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის წარდგინებით, განიხილავს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭო და ამტკიცებს რექტორი. მოცემული პროცედურების შესაბამისად წარმოდგენილი პროფესიული პროგრამა დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის N 01-24/212 ბრძანებით.

2.1.1.7 პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

ენერგომენეჯმენტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის - "ენერგომენეჯმენტი" საფუძველზე და კვალიფიკაცია ფორმულირებულია შემდეგნაირად უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ენერგომენეჯმენტში. პროგრამის სახელწოდება იმეორებს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირებას. შესაბამისად, პროფესიული პროგრამების დასახელება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და დაინტერესებული პირებისთვის არ არის შეცდომაში შემყვანი.

2.1.1.8 პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შემუშავებულია "ენერგომენეჯმენტის" პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მიხედვით. შესაბამისად, მისი სამართლებრივი საფუძვლები კანონმდებლობით დადგენილ შემდეგ მოთხოვნებს პასუხობს:

- „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონი;
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო;
- პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესი;
- პროფესიული კვალიფიკაციების შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- პროფესიის სტანდარტი - ენერგომენეჯერი;
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO – 2008);
- განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCED – 2013);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- უნივერსიტეტის მისია;
- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების დოკუმენტი (2024 - 2030 წლები);
- უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმა (2024-2026);
- უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება პროფესიული პროგრამის დამტკიცების შესახებ;
- უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება აუდიტორიების გამოყოფის შესახებ;
- "სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები";
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- საგანმანათლებლო პროგრამა (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა)
- პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1 პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

უნივერსიტეტს წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, გამოყოფილი აქვს მატერიალური და ფინანსური რესურსები, მოძიებული ჰყავს შესაბამისი დარგის სპეციალისტები და პრაქტიკული საკითხების სრულყოფილად ათვისების მიზნით თანამშრომლობს პარტნიორ ორგანიზაციებთან, კერძოდ:

- შპს "ოპტიმალ გრუპი +"
- შპს "ექსპერტს ფორ სოლუშენს"
- შპს "სიბიდი დეველოპმენტი"
- შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრი"
- შპს "ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი"
- სს "კოკა კოლა ბოთლერს ჯორჯია"

პროგრამის განხორციელებისათვის უზრუნველყოფილია შესაბამისი A, B და C სასწავლო გარემო შესაბამისი ინვენტარითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, რომელიც ადეკვატურია პროფესიულ პროგრამაზე დაგეგმილ მისაღებ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობასთან და უზრუნველყოფს მათთვის ხარისხიანი განათლების მიწოდებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2.2.1.2 პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

პროგრამაში ჩართულია 24 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთა დატვირთვა შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას, ხოლო უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულება უზრუნველყოფს პროფესიული პროგრამის განხორციელების მდგრადობას. აღნიშნული პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაცია უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, მათი გამოცდილება და კომპეტენცია დასტურდება როგორც პირადი საქმეების შესწავლით ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუირებით.

2.2.1.3 პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

პროფესიული პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაცია/სამუშაო გამოცდილება შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებლ მოდულებს, მათი პირადი საქმეებით დასტურდება შესაბამისი მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევებისთვის აუცილებელი ცოდნა და უნარები. შესაბამისად, პროფესიული განათლების მასწავლეებლებს აქვთ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და მათი შეფასების კომპეტენცია. გარდა ამისა, უნივერსიტეტი თავის მხრივ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლების პერიოდულ გადამზადებას სწავლება-სწავლის მეთოდების, სტუდენტის შეფასებისა და სხვა რელევანტური მიმართულებებით.

2.2.1.4 საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი რომლებიც ამავდროულად პროგრამაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები არიან. მათი ცოდნა და გამოცდილება დასტურდება როგორც კვალიფიკაციითა და გამოცდილებით, ასევე ვიზიტის დროს გასაუბრებით.

2.2.1.5 საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა პროფესიულ სტუდენტებს უზრუნველყოფს მოდულებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო რესურსითა და ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით.

მოდულებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება შესაბამის პროფესიული პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. ბიბლიოთეკით სარგებლობასთან დაკავშირებით უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელშიც წარმოდგენილია საბიბლიოთეკო რესურსის გაცნობის, გატანის, უკან დაბრუნების და სხვა საკითხები.

2.2.1.6 სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

უნივერსიტეტი ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვასა და მათთვის სწავლის სათანადო პირობების შექმნაზე. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების სასწავლო გარემოსთან ადაპტაციისა და საგანმანათლებლო პროცესში შეუფერხებლად ჩართულობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

უზრუნველყოფის მიზნით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტში წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საკითხები.
სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენისა და მათზე მორგებული სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით, უნივერსიტეტში ასევე წარმოდგენილია ინკლუზიის კოორდინატორი, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს პროგრამის ხელმძღვანელთან და სასწავლო პროცესში ჩართულ პირებთან. ასევე, ინკლუზიური გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტი თანამშრომლობის შესაბამისი მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციებთან/ექსპერტებთან, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ტრენინგის ან სამუშაო შეხვედრების ფარგლებში უზრუნველყოფენ უნივერსიტეტის პერსონალის გადამზადებას..
ამასთან, ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფის მიზნით GIPA-ში სასწავლო ლიტერატურა ხელმისაწვდომია როგორც ბეჭდურად, ასევე ელექტრონული ვერსიებით.

2.2.1.7 პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი არის არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი, შესაბამისად ორგანიზაციის მიზანს არ წარმოადგენს მოგების მიღება. უნივერსიტეტში ძირითადი შემოსავალი მთლიანად იხარჯება საგანმანათლებლო მიზნებისათვის. უნივერსიტეტის შემოსავლის ძირითადი წყაროებია სწავლის საფასურები, გრანტები და სხვა შემოსავლები, მათ შორის შემოსავლები საკონსულტაციო და კორპორატიული ტრენინგებიდან, იჯარებიდან.
პროგრამის ფუნქციონირება დაგეგმილია თანადაფინანსებით, რაც განხორციელდება სწავლის გადასახადისა და სახელმწიფო ვაუჩერის მეშვეობით. პროგრამის ბიუჯეტი გამჭვირვალეა და მასში გათვალისწინებულია პროგრამის მოსალოდნელი შემოსავალი, რომელზე დაყრდნობითაც ხორციელდება დაგეგმილი ხარჯების დაანგარიშება. ბიუჯეტი ყოველთვის არის დაბალანსებული, რაც ეფუძნება პროგრამის სტაბილურობას და ხარჯების გონივრულ გაწერას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები;
- უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება აუდიტორიების გამოყოფის შესახებ;
- ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.3.1.1 პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვა

GIPA-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და შეფასების პროცესი მოიცავს სხვადასხვა დაინტერესებული მხარის, მათ შორის დამსაქმებლების ჩართულობასა და ასევე საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკების შესწავლას და მიღებული შედეგები აისახება საგანმანათლებლო პროგრამაში.
ამასთან, აღსანიშნავია, რომ USAID-ს პროგრამის "დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის" ფინანსური მხარდაჭერითა და პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ შექმნილი ენერგეტიკის დარგობრივი ორგანიზაციის ჩართულობით, GIPA-ს მიერ მომზადდა ენერგეტიკის სექტორული რუკა, რაც საფუძვლად დაედო პროგრამის შემუშავების პროცესს. დარგის ექსპერტების ჩართულობით მოხდა მიმდინარე საგანმანათლებლო ლანდშაფტის ანალიზი, განისაზღვრა სფეროები, რომლებიც საჭიროებს გაუმჯობესებას და ახალი მიდგომების დანერგვას, რომელიც ენერგოეფექტური პრაქტიკების გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს მომავალში. პროგრამის დიზაინი ითვალისწინებს თანამედროვე, უახლესი ტექნოლოგიებსა და ციფრული ხელსაწყოების გამოყენებას სასწავლო პროცესში. პროგრამაში ინტეგრირებულია რეალურ სივრცეში გამოყენებადი ტექნოლოგიები, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი და პროფესიული, დარგობრივი სასწავლო პროგრამები, რაც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო გამოცდილების გაუმჯობესებასა და სწავლის შედეგების მიღწევას.

2.3.1.2 პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

GIPA მუდმივად ზრუნავს ხარისხის გაუმჯობესებაზე, რისთვისაც რეგულარულად ახორციელებს პროგრამებში სასწავლო და კვლევით კომპონენტში დაკვირვებასა და შეფასებას. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით ხარისხის უზრუნველყოფა საუნივერსიტეტო კულტურის ნაწილია და მასში მონაწილეობას იღებს უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულები და დაინტერესებული პირები. ხარისხის უზრუნველყოფის კულტურა მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამების კომპონენტების, პროფესიულ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების, პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის, ადამიანური რესურსების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და უნივერსიტეტის მიერ მიწოდებული სხვადასხვა სერვისის პერიოდულ შეფასებასა და განვითარებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ზემოაღნიშნულის შეფასება ეყრდნობა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით განსაზღვრულ წესებს, - „თავი VIII სასწავლო პროცესის მონიტორინგის, ხარისხის შეფასების, შედეგების ანალიზისა და გამოყენების წესები". „თავი III საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები".

სწავლების ხარისხის შეფასების ციკლი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

- დაგეგმე (P) - სწავლების ხარისხის შეფასების მიზნით იგეგმება ჩასატარებელი ღონისძიებები, შეფასების საშუალებები, შეფასების კრიტერიუმები, განმახორციელებელი პირები და ღონისძიებების განხორციელების სიხშირე;
- განახორციელე (D) - დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელება ამ წესებით განსაზღვრული პირების ჩართულობითა და დადგენილი მეთოდოლოგიით, მათ შორის საველე სამუშაოებით;
- შეამოწმე (C) - ჩატარებული საველე და სხვა სამუშაოების შედეგების განხილვა - გაანალიზება, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა და შეფასება, რაც ხორციელდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ უნივერსიტეტის პერსონალის, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებისა და სკოლების პერსონალის ჩართულობით;
- განავითარე (A) - გატარებული ღონისძიებების, მიღებული შედეგების შეფასებიდან გამომდინარე, ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და სწავლების ხარისხის გაზრდასთან დაკავშირებით შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

სწავლების ხარისხის შეფასების მიზნით, მოწმდება საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამაში შემავალი ცალკეული კომპონენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლის მუშაობის ეფექტიანობა, პროფესიულ სტუდენტთა აკადემიური მოსწრება, საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურობა და მასთან დაკავშირებული სხვა გარე და შიდა ფაქტორები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.1.1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

,,ენერგომენეჯმენტის“ პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამისთვის შედგენილია სასწავლო გეგმა. სასწავლო გეგმები შედგენილია თანმიმდევრულად, დაცულია ლოგიკურობა და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა. სასწავლო გეგმის შედგენისად გათვალისწინებულია სწავლის შედეგების ხელახალი დადასტურების შესაძლო გონივრული ვადა. სასწავლო პროცესი განხორციელდება სასწავლო გეგმის მიხედვით, რაც დასტურდება ადმინისტრაციასთან და პროფესიულ მასწავლებლებთან ინტერვიურებით.

2.4.1.2 პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილი პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების შემთხვევაში შემხვედრი ღონისძიებების გატარებას. ინსტიტუტი პროფესიული სტუდენტების გამოკითხვისა და ინდივიდუალური საჭიროებების საფუძველზე შეძლებისდაგვარად გაითვალისწინებენ მათ მოთხოვნებს.

2.4.1.3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. სასწავლო პროცესში გამოიყენება პრეზენტაციები, ვიზუალური თანამედროვე მასალები და მეთოდები, კერძოდ, დაწესებულებაში სწავლება მიმართულია პროფესიული სტუდენტებისათვის ტრანსფერული და პროფესიული უნარების განვითარებისკენ. სწავლება ხდება მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, სადაც პროფესიული მასწავლებელი ორიენტირებულია სტუდენტის ინტერესებზე. ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციით, მრავალწლიანი გამოცდილებითა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

გავლილი ტრენინგებით. ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლით დგინდება, რომ დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფილია როგორც დაწესებულებაში, ისე პრაქტიკის ობიექტებზე.

2.4.1.4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილი პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების შემთხვევაში შემხვედრი ღონისძიებების გატარებას. პროგრამის ხელმძღვანელთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სტუდენტების საჭიროებების მიხედვით დგება სასწავლო გეგმა ან კონკრეტული მოდულის სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომით განხორციელება. მათი ინფორმაციით სწავლის დრო მორგებულია სტუდენტებისთვის მისაღებ დროზე და არ არის შეზღუდული სამუშაო საათები, დაწესებულებას სპეციალური შიდა ელექტრონული პროგრამის portal.gipa.ge საშუალებით აქვს შესაძლებლობა დააფიქსიროს პროფესიულ სტუდენტთა დასწრების მაჩვენებელი, 33 % იანი გაცდენა იწვევს სტუდენტის მიერ მოდულის ხელმეორედ გავლის ვალდებულებას.

2.4.1.5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით
პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა ,,ენერგომენეჯმენტი" ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს და დარგის ტექნოლოგიებს. სწავლების შედეგების მიღწევა დაგეგმილია დაწესებულებასა და პრაქტიკის ობიექტებზე, რეალურ სამუშაო გარემოში. დაგეგმილია დაწესებულების შენობაში. სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი 6 ორგანიზაციასთან 24-24 სტუდენტზე (ერთდროულად არაუმეტეს 12 - ისა, წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, რაზედაც დამატებით გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება) პრაქტიკის ხელშეკრულებაში განსაზღვრულია ხელშეკრულების საგანი და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების სხვა პირობები. პრაქტიკის ობიექტებია:

- **შპს „ოპტიმალ გრუპი +",** რომელიც A ტიპის ინსპექტირების ორგანოს წარმოადგენს მშენებლობაში და ასევე, მუშაობს შენობა-ნაგებობათა ენერგოეფექტურობის ინსპექტირების მიმართულებით.
- **შპს "ექსპერტს ფორ სოლუშენს"** რომელიც სამშენებლო ობიექტების და ექსპლუატაციაში შესული შენობების, მათ შორის ენერგოეფექტური სისტემები მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს.
- **შპს "სიბიდი დეველოპმენტი"** საბოლოო სამომხმარებლო და სამრეწველო სფეროში მოქმედი კომპანიაა, რომელიც ისთ ფოინთის, ფოკუს მოკუსის, ლებოვსკის სავაჭრო მარკები სახელით ფუნქციონირებს ქვეყანაში.
- **შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრი",** მაღალი ენერგომოხმარების პროფილის ორგანიზაციას წარმოადგენს, სადაც რთული ენერგო სისტემების ორგანიზების გაცნობაა შესაძლებელი.
- **შპს "ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი",** რადისონ ბლუ ივერია თბილისის სავაჭრო მარკის მმართველი ორგანიზაციაა, რომელიც ენერგიის საბოლოო, თანამდეროვე სამომხმარებლო სისტემებით მოქმედ სასტუმროს წარმოადგენს ქვეყანაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

- **სს "კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია"** ენერგიის სამრეწველო მოხმარების ობიექტია, ფუნქციონირებადი თანამედროვე ტექნოლოგიური ხაზებით.

მოხდა ადგილზე ვიზიტი ობიექტებზე: შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრი" და შპს "ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი", ასევე განხორციელდა ონლაინ გასაუბრება შპს „ოპტიმალ გრუპი +"-სა და შპს „ექსპერტს ფორ სოლუშენ" -ის წარმომადგენლებთან. გასაუბრებისა და ადგილზე ვიზიტით დადასტურდა ორგანიზაციების პრაექტიკული კომპონენტ(ებ)ის განხორციელებასთან დაკავშირებით.

განმავითარებელი რეკომენდაცია:

მეტი დარგობრივი სეგმენტების დაფარვის მიზნით, სასურველია გაიზარდოს პრაქტიკის ობიექტების რაოდენობა: სამედიცინო, სოფლის მეურნეობის (მეღვინეობა, მეფრინველეობა, გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოები და სხვა), ტრანსპორტი (სახმელეთო, საზღვაო, სავიაციო და სარკინიგზო), ლოგისტიკური ცენტრები და სხვა, რამდენადაც, ამ სექტორებს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ საქართველოს ტერიტორიიდან კლიმატის ცვლილების გამომწვევი სითბური გაზების ემისიების შემცირებაში და/ან კლიმატის ცვლილებასთან იმ სექტორების ადაპტაციაში, რომლებიც ყველაზე მოწყვლადები არიან კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკების მიმართ.

2.4.1.6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ენერგომენეჯმენტი" შინაარსიდან გამომდინარე არ საჭიროებს განსაკუთრებულ/სპეციფიურ უსაფრთხოების პირობების შექმნას/დაცვას და ექვემდებარება დაწესებულებაში დანერგილ შემდეგ წესებს: ელექტროუსაფრთხოების, ეკრანიან მოწყობილობასთან მუშაობის, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების და პირველადი დახმარების შესახებ. რაც შეეხება მოდულებში ინტეგრირებულ პრაქტიკის ობიექტებს, რომელიც ხორციელდება დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციების ბაზაზე, ხელშეკრულებებში გაწერილია პირობა, რის თანახმადაც ორგანიზაცია ვალდებულია ადგილზე უზრუნველყოს უსაფრთხო გარემო.

დასტურდება (მტკიცებულებები):

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.2.1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

შეფასება დაწესებულებაში ხორციელდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტში გაწერილი წესის შესაბამისად , რომელიც დაწესებულების რექტორის მიერაა დამტკიცებული. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის XI თავის მე-13 მუხლის მიხედვით, შეფასების ფორმატი აკმაყოფილებს ვალიდურობის, სანდოობის, გამჭირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპებს. მარეგულირებელი წესი ასევე მოიცავს შეფასების ინსტრუმენტის შიდა მონიტორინგის მიდგომებსაც. მოდულით გათვალისწინებული მისაღწევი სწავლის შედეგების სპეციფიკიდან და შეფასების მიმართულებიდან გამომდინარე, შეფასების ინსტრუმენტს ადგენს პროფესიული მასწავლებელი, პროგრამის ხელმძღვანელთან კონსულტირების შემდეგ ათანხმებს სწავლების კოორდინატორთან. დაწესებულება სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებისთვის იყენებს ორ არადიფერენცირებულ მიდგომას, სტუდენტთა სწავლის შედეგის მიღწევების გაუმჯობესებისთვის იყენებს განმავითარებელ შეფასებას და საბოლოო შედეგის დადასტურებისთვის იყენებს განმსაზღვრელ შეფასებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- სწავლის შედეგი დადასტურდა;
- სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

მოდულის სწავლებისას, განმსაზღვრელი შეფასების უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გონივრულ ვადაში მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება მოდულის მასწავლებელთან და ადმინისტრაციასთან შეთანხმებით. დამატებითი შეფასების მოთხოვნის უფლება პროფესიულ სტუდენტს აქვს ერთხელ. ორჯერ მოდულის ვერ დადასტურების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი ვალდებულია სრულად გაიაროს მოდული კრედიტებით დაანგარიშებული შესაბამისი გადასახადის გადახდის შემდეგ.

ვალიდაციის პროცედურა ითვალისწინებს განმსაზღვრელი შეფასების ისეთი ინსტრუმენტის გამოყენებას რომელიც შედგენილია განმახორციელებელი მასწავლებლის მიერ, შეთანხმებულია პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული სწავლების კოორდინატორთან. შეფასების პროცესი დასრულებულად ითვლება მხოლოდ შეფასების შედეგების დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ. კვალიფიკაციის მინიჭებისათვის სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სავალდებულო ზოგადი და პროფესიული მოდულით გათვალისწინებული კრედიტები. შეფასების პროცესის განხორციელების სისწორეზე პასუხისმგებლობა და შესაბამისი კონსულტაციების გაწევა ევალება პროფესიული სწავლების ხარისხის მენეჯერს. შერჩევითი პრინციპით ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა ერთი მოდულის შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ინსტრუმენტი მისი შედგენიდან გამოყენებამდე პროცედურების შესაბამისობა შიდა რეგულაციებთან. ექსპერტების მიერ გაანალიზდა პროგრამის ფარგლებში შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები, დადასტურდა მისი დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა. სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში შეტანილია ცვლილება და ასახულია საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესი და პირობებით“ გათვალისწინებული მოთხოვნები, რომელიც ითვალისწინებს ინსტიტუტის მიერ შუალედური შეფასების ჩატარების ვალდებულებას.

2.4.2.2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს ;

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი მოიცავს ვერიფიკაციასთან დაკავშირებულ მიდგომებს და წარმოადგენს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმს. ვერიფიკაცია ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით:

ა) ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;

ბ) პროცესის ვერიფიკაცია;

გ) მტკიცებულებების ვერიფიკაცია;

ვერიფიკაციის პროცესს ახორციელებს უნივერსიტეტში რექტორის ბრძანებით შექმნილი შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობაში შედიან ჯგუფის თავმჯდომარე და ჯგუფის წევრები. პროფესიული სწავლების ხარისხის მენეჯერი განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის ვერიფიკაციის პერიოდს (არანაკლებ წელიწადში ერთხელ).

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ვერიფიკაციის გზით დადგენილი ხარვეზების არსებობის შემთხვევაში, ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელი წერილობით მიმართავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს და პროფესიული მოდულის განმახორციელებელი მასწავლებლის შემდგომი რეაგირების მიზნით. ექსპერტების მოთხოვნით, დაწესებულებამ წარმოადგინა ვერიფიკაციის პროცესის ამსახველი დოკუმენტაციის პაკეტი ერთ-ერთი მოდულის შეფასებისთვის.

2.4.2.3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის XI თავის მუხლი 133 ის მიხედვით პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგების გაფორმება ხორციელდება უწყისით, უნივერსიტეტის ელექტრონული მართვის მონაცემთა ბაზაში (LMB), რომელიც საკმაოდ დეტალურ ინფორმაციას ინახავს როგორც შეფასებასთან, ასევე მთლიანად სასწავლო პროცესთან დაკავშირებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში მტკიცებულებები დაცულია და ინახება სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. უწყისები ინახება უნივერსიტეტის ელექტრონულ ბაზაში მუდმივად. ინფორმაციის მიღება შეუძლიათ როგორც პროფესიულ სტუდენტებს, ასევე პერსონალს, ვისაც აქვ წვდომა საკუთარ მონაცემებზე, თუმცა ზოგ პოზიციაზე მყოფ თანამშრომელს, მაგალითად პროგრამის კოორდინატორს აქვს უფრო მეტ ინფორმაციაზე წვდომის შესაძლებლობა საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2.4.2.4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის XI თავის მიხედვით დაწესებულება ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერდადასტურების მაჩვენებლები) შეგროვებას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და იყენებს მათ პროგრამის შემდგომი განვითარებისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნებისათვის. ასევე, განმავითარებელი შეფასების შედეგების შეჯამების შემდეგ პროფესიულ სტუდენტს ეცნობება მისი მიღწევებისა და ნაკლოვანებების შესახებ. პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელი თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის შეიმუშავებს რეკომენდაციებს. პროფესიული სტუდენტის განმავითარებელი შეფასების შედეგები და რეკომენდაციები თავსდება პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში. სტუდენტთა დახასიათებების ანალიზი დაწესებულებას ეხმარება პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენაში, განვითარების დინამიკაზე დაკვირვებაში და საჭიროების შემთხვევაში მათ ხელშესაწყობად შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვაში. დაწესებულებაში შეფასების შედეგების ანალიზი, სტუდენტისთვის ინდივიდუალური უკუკავშირი და მიღწევების სტატისტიკური დამუშავება შიდა რეგულაციებით გათვალისწინებული კონფიდენციალობის დაცვით ხორციელდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

30.07.2024
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: